

საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №225

2010 წლის 6 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ ნორმატიული აქტების გამოქვეყნებისა და მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ ნორმატიული აქტების გამოქვეყნებისა და მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობა და გადახდის წესი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ ნორმატიული აქტების გამოქვეყნებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 21 ივნისის №116 ბრძანება.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.

ზ. ადგიშვილი

შეტანილია ცვლილებები:

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №237 - სსმ III, №170 29.12.2010, მუხ.2448
2. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 22 მარტის ბრძანება №39 - ვებგვერდი, 22.03.2011 წ.
3. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №155 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.
4. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 29 იანვრის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 29.01.2013 წ.

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ ნორმატიული აქტების გამოქვეყნებისა და მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობა და გადახდის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ეს წესი, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განსაზღვრავს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ (შემდგომში – მაცნე) ნორმატიული აქტებისა და სხვა საინფორმაციო დოკუმენტების გამოქვეყნებისათვის, აგრეთვე „მაცნეს“ მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის (შემდგომში – საფასური) განაკვეთებს და მათი გადახდის წესს.

მუხლი 2. საფასურის ცნება

საფასური არის „მაცნის“ ვებგვერდზე ნორმატიული აქტებისა და სხვა საინფორმაციო დოკუმენტების გამოქვეყნებისათვის, აგრეთვე „მაცნის“ მიერ გაწეული მომსახურებისათვის დადგენილი სავალდებულო გადასახდელი.

მუხლი 3. საფასურის სახეები

საფასურის სახეებია:

- ა) გამოქვეყნების საფასური;

ბ) მომსახურების საფასური.

მუხლი 4. გამოქვეყნების საფასური

1. „მაცნეში“ ნორმატიული აქტებისა და სხვა საინფორმაციო დოკუმენტების გამოქვეყნება ხორციელდება „მაცნეს“ ოფიციალურ ვებგვერდზე.

2. ნორმატიული აქტებისა და სხვა საინფორმაციო დოკუმენტების ვებგვერდზე გამოქვეყნებისათვის დაწესებულია შემდეგი საფასური:

ა) ერთი გვერდიდან 10 გვერდის ჩათვლით – თითოეული გვერდის გამოქვეყნებისათვის 20 (ოცი) ლარი;

ბ) 11 გვერდიდან 50 გვერდის ჩათვლით – თითოეული გვერდის გამოქვეყნებისათვის 15 (თხუთმეტი) ლარი;

გ) 50 გვერდზე მეტი – თითოეული გვერდის გამოქვეყნებისათვის 10 (ათი) ლარი.

3. გვერდების რაოდენობა იანგარიშება გამოსაქვეყნებლად წარდგენილი დოკუმენტის თითოეული გვერდის მიხედვით. არასრული გვერდი ჩაითვლება ერთ გვერდად.

4. მაცნე უფლებამოსილია დაინტერესებული პირის მიერ საფასურის გადახდის გარეშე ვებგვერდზე გამოაქვეყნოს ისეთი დოკუმენტი, რომლის გამოქვეყნება არ არის სავალდებულო კანონმდებლობით.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №155 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.

მუხლი 5. მომსახურების საფასური

1. „მაცნეს“ ვებგვერდზე განთავსებული სისტემატიზებული ნორმატიული აქტებით სარგებლობისათვის (გარდა საკანონმდებლო აქტებისა), აგრეთვე თემატურად კლასიფიცირებული ნორმატიული აქტების ელექტრონულად მიწოდებისთვის დაწესებულია მომსახურების საფასური (დანართი №1).

2. ვებგვერდზე განთავსებული სისტემატიზებული საკანონმდებლო აქტებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული და საინფორმაციო დოკუმენტებით სარგებლობა უფასოა.

3. ამ ბრძანებით პირდაპირ გაუთვალისწინებელი მომსახურებისათვის საფასურის ოდენობა შეიძლება დადგინდეს შესაბამისი ხელშეკრულებით.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №237 - სსმ III, №170 29.12.2010, მუხ.2448

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 29 იანვრის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 29.01.2013 წ.

მუხლი 6. საფასურის გადახდის წესი და პირობები

1. გამოქვეყნებისა და მომსახურების საფასურების გადახდა შესაძლებელია წინასწარი გადახდის ფორმით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

2. მომსახურების საფასურის გადახდა წარმოებს №1 დანართში აღნიშნული მომხმარებელთა რაოდენობის, მომსახურების დროის პერიოდისა და შესაბამისი ფასდათმობების გათვალისწინებით.

3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს.

მუხლი 7. გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი

1. განმცხადებელს გადახდილი საფასური უბრუნდება, თუ:

ა) განმცხადებელმა გამოქვეყნების თაობაზე განცხადების შემოტანამდე მოითხოვა გადახდილი თანხის დაბრუნება;

ბ) საფასური გადახდილია ამ ბრძანებით განსაზღვრულ განაკვეთზე მეტი ოდენობით. ამ შემთხვევაში ბრუნდება სხვაობა გადახდილ თანხასა და ამ ბრძანებით განსაზღვრულ განაკვეთს შორის;

გ) თუ გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილია ისეთი დოკუმენტი, რომლის გამოქვეყნებაც არ განეკუთვნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ კომპეტენციას.

2. საფასური ბრუნდება მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან სრულად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას. მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს საფასურის გადახდიდან ერთი თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი საფასური არ ბრუნდება. ამ ვადის გაგრძელება ან გაშვებული ვადის აღდგენა დაუშვებელია.

მუხლი 8. გარდამავალი დებულება

2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 თებერვლამდე, „მაცნეს“ ვებგვერდზე განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებით ერთი წლით სარგებლობის უფლების შეძენისათვის, მომსახურების საფასურია დანართი №1-ით გათვალისწინებული საფასურის 80%.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №155 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.

დანართი №1

მომხმარებელთა რაოდენობა	პერიოდი	ერთეულის ფასი	ფასდათმობა (%)	ერთეულის ფასი ფასდათმობით
1-დან 10-ის ჩათვლით	1 თვე	30 ლარი		30 ლარი
	6 თვე	180 ლარი	10%	162 ლარი
	12 თვე	360 ლარი	20%	288 ლარი
11-დან 50-ის ჩათვლით	1 თვე	20 ლარი		20 ლარი
	6 თვე	120 ლარი	10%	108 ლარი
	12 თვე	240 ლარი	20%	192 ლარი
51-დან 100-ის ჩათვლით	1 თვე	15 ლარი		15 ლარი
	6 თვე	90 ლარი	10%	81 ლარი
	12 თვე	180 ლარი	20%	144 ლარი
101- დან 300-ის ჩათვლით	1 თვე	10 ლარი		10 ლარი
	6 თვე	60 ლარი	10%	54 ლარი
	12 თვე	120 ლარი	20%	96 ლარი
301 - დან 500-ის ჩათვლით	1 თვე	7.5 ლარი		7,5 ლარი
	6 თვე	45 ლარი	10%	40,5 ლარი
	12 თვე	90 ლარი	20%	72 ლარი
1 ნორმატიული აქტის დათვალეირება (ჩამოტვირთვა)		2 ლარი		

შენიშვნა:

ა) 500-ზე მეტი მომხმარებლის შემთხვევაში, მომსახურების საფასური განისაზღვრება ხელშეკრულებით;

ბ) თემატურად კლასიფიცირებული ნორმატიული აქტების ელექტრონულად მიწოდების საფასურია თვეში 2 ლარი.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №237 - სსმ III, №170 29.12.2010, მუხ.2448

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 22 მარტის ბრძანება №39 - ვებგვერდი, 22.03.2011 წ.